



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 56

“ 3 ” აპრილი 2020 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დ.აბაშიძის ქუჩა №17-სა და დ. აბაშიძის №17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.001.006; №01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი, სასტუმრო, კაფე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №20.368.477 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქ. თბილისში, დ.აბაშიძის ქუჩა №17-სა და დ. აბაშიძის №17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.001.006; №01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი, სასტუმრო, კაფე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული №01192622747-67 (№01193193985-67; №01193532509-67; №01200733729-67; №01200801285-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს.


3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

C.Z.L.F.Z. შურობან-ნაბეობებოს მანსიოპიხი სიძალის
ნ-დ სხითრიწონოს დეანოს ბამბ

[illegible][illegible][illegible][illegible]

C.Z.L.F.Z. მონის ნახვითზე შენობათა ბანთახსნის ბაზა

מסמכים:

- N1 - מכתב משרד המשפטים
- N2 - מכתב מס' 108 משרד המשפטים
- N3 - צו
- N4 - חוק המבחן
- N5 - חוק המבחן

[illegible][illegible]

המחיר של המכשיר הוא 2500 ₪, והוא ימכר במחיר של 1500 ₪. המכשיר ימכר במחיר של 1500 ₪, והוא ימכר במחיר של 1500 ₪.

$\frac{8.5 \times 10^6}{(1 + 0.05)^{10}} = 5.79 \times 10^6$

[illegible]

התשלום יבוצע באמצעות שירותי המס הכחול.
מס' תשלום - 700 53 א.
מס' תשלום - 20 א.
מס' תשלום - 30 א.

המחיר: 9881 ₪. **המחיר: 9881 ₪.**



החברות המובילות בתחומי התעופה והמדיניות הציגו את התוכנית, בהתאם להחלטת הוועדה המייעצת, שהתקיימה ב-19 במרץ 2019.

[illegible][illegible][illegible]

საქართველოს მთავრობის დადგენილება № 100/2007
(2007 წლის 11 იანვარი)

[illegible]

החלטות ועבודת הוועדה
המחלקה הכלכלית
המחלקה המדעית
המחלקה החינוכית
המחלקה הספרותית
המחלקה המנהלית
המחלקה המשפטית
המחלקה המדעית
המחלקה החינוכית
המחלקה הספרותית
המחלקה המנהלית
המחלקה המשפטית

[illegible]


C.Z.L.FZ ՁՈՐՈՏ ԴՆԱՅՈՒԹՅԱՆ ԸՆԿՆԱԴՐՈՒՄԻ ԿՑԵՆԱԴՐՈՒՄԻ ՔՈՆՅԱԴՐԱՆԻ

כתובת:

- N1 - ՃՆԵՐՆ ՔՇԵՐՆԵ
N2 - ԵՆԵՐՇԻՐ 108 ՇՐՈՒՄ
N3 - ԵՅՅՅ
N4 - ՔՈՏԵՐՅԱՆ ՅԱՅԻՐՈՒ
N5 - ԵՆԵՐՇԻՐՈՒ ՆՈՒՄ

[illegible]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100 101 102 103 104 105 106 107 108 109 110 111 112 113 114 115 116 117 118 119 120 121 122 123 124 125 126 127 128 129 130 131 132 133 134 135 136 137 138 139 140 141 142 143 144 145 146 147 148 149 150 151 152 153 154 155 156 157 158 159 160 161 162 163 164 165 166 167 168 169 170 171 172 173 174 175 176 177 178 179 180 181 182 183 184 185 186 187 188 189 190 191 192 193 194 195 196 197 198 199 200 201 202 203 204 205 206 207 208 209 210 211 212 213 214 215 216 217 218 219 220 221 222 223 224 225 226 227 228 229 230 231 232 233 234 235 236 237 238 239 240 241 242 243 244 245 246 247 248 249 250 251 252 253 254 255 256 257 258 259 260 261 262 263 264 265 266 267 268 269 270 271 272 273 274 275 276 277 278 279 280 281 282 283 284 285 286 287 288 289 290 291 292 293 294 295 296 297 298 299 300 301 302 303 304 305 306 307 308 309 310 311 312 313 314 315 316 317 318 319 320 321 322 323 324 325 326 327 328 329 330 331 332 333 334 335 336 337 338 339 340 341 342 343 344 345 346 347 348 349 350 351 352 353 354 355 356 357 358 359 360 361 362 363 364 365 366 367 368 369 370 371 372 373 374 375 376 377 378 379 380 381 382 383 384 385 386 387 388 389 390 391 392 393 394 395 396 397 398 399 400 401 402 403 404 405 406 407 408 409 410 411 412 413 414 415 416 417 418 419 420 421 422 423 424 425 426 427 428 429 430 431 432 433 434 435 436 437 438 439 440 441 442 443 444 445 446 447 448 449 450 451 452 453 454 455 456 457 458 459 460 461 462 463 464 465 466 467 468 469 470 471 472 473 474 475 476 477 478 479 480 481 482 483 484 485 486 487 488 489 490 491 492 493 494 495 496 497 498 499 500 501 502 503 504 505 506 507 508 509 510 511 512 513 514 515 516 517 518 519 520 521 522 523 524 525 526 527 528 529 530 531 532 533 534 535 536 537 538 539 540 541 542 543 544 545 546 547 548 549 550 551 552 553 554 555 556 557 558 559 560 561 562 563 564 565 566 567 568 569 570 571 572 573 574 575 576 577 578 579 580 581 582 583 584 585 586 587 588 589 590 591 592 593 594 595 596 597 598 599 600 601 602 603 604 605 606 607 608 609 610 611 612 613 614 615 616 617 618 619 620 621 622 623 624 625 626 627 628 629 630 631 632 633 634 635 636 637 638 639 640 641 642 643 644 645 646 647 648 649 650 651 652 653 654 655 656 657 658 659 660 661 662 663 664 665 666 667 668 669 670 671 672 673 674 675 676 677 678 679 680 681 682 683 684 685 686 687 688 689 690 691 692 693 694 695 696 697 698 699 700 701 702 703 704 705 706 707 708 709 710 711 712 713 714 715 716 717 718 719 720 721 722 723 724 725 726 727 728 729 730 731 732 733 734 735 736 737 738 739 740 741 742 743 744 745 746 747 748 749 750 751 752 753 754 755 756 757 758 759 760 761 762 763 764 765 766 767 768 769 770 771 772 773 774 775 776 777 778 779 780 781 782 783 784 785 786 787 788 789 790 791 792 793 794 795 796 797 798 799 800 801 802 803 804 805 806 807 808 809 810 811 812 813 814 815 816 817 818 819 820 821 822 823 824 825 826 827 828 829 830 831 832 833 834 835 836 837 838



1:750@A3

[illegible]

A3

JRC 9809 UCINQ-FLU

UNESCO World Heritage Site

UNIVERSITY OF CALIFORNIA (40) (NAME OF APPLICANT)
(98.11.1.0000000000)

1. The first step is to identify the problem. In this case, the problem is that the company is not meeting its sales targets.

0960305200

[illegible]

UNCLASSIFIED	EXEMPT FROM E.O. 13526
--------------	------------------------

C.Z.L.F.Z.8

[illegible]

	A	B	C	D	E	F
01-16-05 00:00:00						

evaluation

UNION WORKERS

СРЕДСТВА / RECOMMENDATIONS

Олег С. Бондарев

1

1

1

4

[illegible]

5. 6262740/06 62650326/060307 32033001 0

Tel./office: +995 574170688

16028

09/2019 6

C-arch - 0.

100	100
-----	-----

CONJUGAL



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 20.368.477

26 / მარტი / 2020 წ.

ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა N17-სა და N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.16.05.001.006; 01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 19 სექტემბერს N01192622747-67 (NN01193193985-67; 01193532509-67; 01200733729-67; 01200801285-67) განცხადებით მიმართა ნარიშკან სარდალმა (პ/ნ CO1183569) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დ. აბაშიძის ქუჩა N17-სა და N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.16.05.001.006; 01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დ. აბაშიძის N17, N17/4 -ის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.001.006; 01.16.05.001.017; ჯამური ფართობი: 9 881კვ.მ) მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დ. აბაშიძის ქ.-სა და სანაპიროს კუთხეში, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება დ. აბაშიძის ქ.-დან შემავალი საავტომობილო გზა (ჩიხური დაბოლოებით), აღმოსავლეთით - დ. აბაშიძის ქუჩა, სამხრეთით - მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, დასავლეთით კი უ. ჩხეიძის ქუჩა და საცხოვრებელი კორპუსი. საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით. ტერიტორიაზე მრავლადაა ხე-ნარგავები, რომელიც დაგეგმვის მიუხედავად მაქსიმალურად არის შენარჩუნებული.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ასევე, ტერიტორიაზე ვრცელდება ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა - ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა (ისტ-2).

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც ავთენტური სახით შემორჩენილია ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის ფრაგმენტები ან/და ცალკეული ძეგლები, კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტები, ფონური განაშენიანება. განაშენიანების რეგულირების ზონა შეიძლება ასევე იყოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სხვა ზონის ბუფერული ზონა.

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დ. აბაშიძის N17/4, N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.16.05.001.017; N01.16.05.001.006) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 სექტემბრის N280 განკარგულების შესაბამისად დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საპროექტო წინადადების შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაწილი იცვლება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), სადაც დაგეგმილია ბანკის, სასტუმროს და კაფის მშენებლობა. ასევე, 7 სართულიანი ბანკის შენობა-ნაგებობა განთავსდება ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში, 8-9 სართულიანი ოფისი კი ნაკვეთის ჩრდილოეთით, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს 2 სართულიანი კაფე. ინტენსიურად გაშენებული ზონა, რომელიც ამჟამად კერძო საკუთრებაშია და ღობითაა გამოიჯნული, შეიძენს საჯარო, გამწვანებული სარეკრეაციო დასასვენებელი სივრცის ფუნქციას. მიწის ნაკვეთის დონე სანაპიროს გზის სავალი ნაწილის დონესთან მიმართებაში საშუალოდ 4.0 მ-ით მაღლაა, შესაბამისად, სანაპიროს გასწვრივ გრუნტის დონის შესანარჩუნებლად მოწყობილია რკინა-ბეტონის საყრდენი კედელი. დაგეგმვა კი ითვალისწინებს აღნიშნული კედლის მოხსნას. ძირითადი პარკინგი მოეწყობა მიწისქვეშა სივრცეში, აგრეთვე, მიწისზედა პარკინგი მოეწყობა ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან სამშენებლო ტერიტორიად გამოყოფილია 6792 კვ.მ., რომელსაც მიენიჭება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ხოლო 3089 კვ.მ.-ს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).



განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადებაში წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა, მოცულობები, მაქსიმალური სიმაღლეები შეთანხმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის 5 სექტემბრის N35 ოქმის შესაბამისად, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

სიმაღლისა და სართულიანობის შეზღუდვიდან გამომდინარე არ ხდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ისთვის (სსზ-2) დადგენილი მაქსიმალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ათვისება. განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით მიწის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

სსზ-2 ფართობი 6 792 კვ.მ

კ-1=0,4 (2 500 კვ.მ.)

კ-2=2,7 (18 000 კვ.მ)

კ-3=0,2 (1 400 კვ.მ)

რზ-2 ფართობი 3 089 კვ.მ.

კ-1=0,0 (0 კვ.მ.)

კ-2=0,0 (0 კვ.მ)

კ-3=0,8 (2 350 კვ.მ)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო; ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 31 დეკემბრის N0119365383 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 27 ნოემბრის N01193311501 წერილის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის

ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა N17-სა და N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.16.05.001.006; 01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე N01192622747-67 (NN01193193985-67; 01193532509-67; 01200733729-67; 01200801285-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა N17-სა და N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.16.05.001.006; 01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



ნერილის ნომერი: **0119365383**

თარიღი: **31/12/2019**

პინი: **9518**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 19 დეკემბრის №01193532509-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დ. აბაშიძის №17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:01.16.05.001.006; 01.16.05.001.017; ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 სარეკრეაციო ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში 01.16.05.001.006; 01.16.05.001.017 საკადასტრო ერთეულებზე აღწერილი **6 ძირი (№8; №16-20;)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული 6 ძირი მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და მათი რაოდენობა 15-ზე ნაკლებია, აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონი მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი და ხმობადი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა 01.16.05.001.017 საკადასტრო ერთეულზე მოიჭრას **4 ძირი ზეხმელი (№9 - თელა, №12 - აილანთუსი, №111 - აღმოსავლური ბიოტა; №123 - აღმოსავლური ბიოტა) და 5 ძირი ხმობადი (№21 - თუთა; №76 - აღმოსავლური ბიოტა; №116 - აღმოსავლური ბიოტა, №118 - აღმოსავლური ბიოტა, №141 - მარადმწვანე კვიპაროსი)** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ 01.16.05.001.017 საკადასტრო ერთეულზე ფიქსირდება **1 ძირი (№78) წაქეული თუთა**, სამსახური არ არის წინააღმდეგი აღნიშნული ხის მესაკუთრემ თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ძირნაყარი მწვანე ნარგავი, მათ შორის, დაჭრას და გაიტანოს ტერიტორიიდან (ასევე, გაიტანოს ტერიტორიიდან).

რაც შეეხება მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **7 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა, გადაირგოს 01.16.05.001.017 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი **7 ძირი (№22; №75; №79; №126; №134-135; №142)** მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ 01.16.05.001.006 საკადასტრო ერთეულზე საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **11 ძირი (№1-6; №10-11; №13-15)** და 01.16.05.001.017 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი **26 ძირი (№24; №72; №74; №77; №80-81; №112; №114-115; №117; №119-122; №124-125; №127-128; №132; №137-140; №143-144; №217)** მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/

გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, **01.16.05.001.006; 01.16.05.001.017 საკადასტრო ერთეულებზე** გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული - 209** ძირი მწვანე ნარგავი, **გადასარგავი - 44** ძირი მწვანე ნარგავი და **საპროექტოდ დასარგავი - 37** ძირი ჰიმალაის კედარი და **23** ძირი ამერიკული ნეკერჩხალი **ჯამში - 269 ერთეული**) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **3 750 მ²**.

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01193311501

თარიღი: 27/11/2019

პინი: 1709

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2019 წლის 15 ნოემბრის N01193193985-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, დ. აბაშიძის ქუჩა N17 და N17/4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.16.05.001.006, 01.16.05.001.017) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მოცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

